

ზურაბ სარჯველიანი

სამი ძველქართული სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობისათვის

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ბერძნულთან ინტენსიური ურთიერთობის შედეგად შემოვიდა დიდძალი ლექსიკური ერთეულები (იხ. Patsch, 1977); ქართულ სალიტერატურო ენაში აისახა მთელი რიგი სინტაქსური კალკები (ყაუხჩიშვილი, 1949; დანელია, 1983 და სხვ.).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში აისახა სწორედ ის წარმოდგენები, რაც ბერძნებს ჰქონდათ მახლობელი აღმოსავლეთის ბუნებრივი გარემოს, ცხოველთა სამყაროს, ფლორის შესახებ (Patsch, 1977).

უპირველად საინტერესოა, რომ ზოგი სიტყვის გარკვეული მნიშვნელობა სწორედ ბერძნულის გავლენითაა შეპირობებული:

აღესრულა იოსებ, შესაქმე 50, 26; შდრ.: *καὶ ἐτελευτήσεν Ἰωσήφ*; აღესრულა ჰეროდე, მ. 2, 19, შდრ.: *τελευτήσαντος δὲ τοῦ Ἡρώδου*;

მოკულა აბრაჰამ სიბერიოთა კეთილითა მოხუცებული და სავსე ღლითა და შეეძინა ერსა თჳსსა, შესაქმე 25, 8, შდრ.: *καὶ ἐκλυθὼν ἀπέθανεν Ἀβραάμ ἐν γῆραι καὶ ἄλλω πρεσβύτηι καὶ πληρῆι ἡμερῶν καὶ προσετέθη τὸν λαὸν αὐτοῦ*;

შესვლა (coire) შევედ უკუე მკველისა ჩემისა, რაჟთა შვილიერ იქმნე მისგან, შესაქმე 16, 2, შდრ.: *εἰσελθε οὖν πρὸς τὴν παιδίσκην μου, ἵνα τεκνοποιήσῃς ἐξ αὐτῆς*; შევიდა მისა და მიუდგა იგი, იქვე 16, 4, შდრ.: *καὶ εἰσῆλθεν πρὸς Ἀγαρ, καὶ στυνέλαβεν* და მისთ.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ კიდევ ორ ამგვარ შემთხვევაზე. „შესაქმის“ წიგნში ვკითხულობთ:

ხოლო იხილა რაჟ უფალმან ღმერთმან, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი ქუეყანასა ზედა და ყოველი, ვინ იგონებს გულსა შინა თჳსსა მოსწრაფებით ბოროტთა ყოველთა ღლეთა, და შეიგონა ღმერთმან, რამეთუ შექმნა კაცი ქუეყანასა ზედა და განიგონა. და თქუა ღმერთმან: აღვკოცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისაგან ქუეყანისა კაცთაგან მიპირუტყუთამდე და ქუეწარმავალთაგან მფრინველთამდე ცისათა, რამეთუ შევიცინან, რამეთუ შევქმნენ იგინი (6, 5-7).

შეგონება ზმნას ამ ადგილას აშკარად შენახების მნიშვნელობა აქვს, რასაც მოწმობს მის სინონიმად სწორედ ამ უკანასკნელის ხმარება. განიგონა აქ შეწუხებას ნიშნავს. შეგონება და განიგონა ზმნათა ამგვარი გამოყენება ბერძნულის დედანიითაა შეპირობებული: *Ἰδὼν δὲ κύριος ὅτι θεὸς ὅτι ἐπληθύνθησαν αἱ κακίαι τῶν ἀνθρώπων ἐπὶ τῆς γῆς καὶ πᾶς τις διανοεῖται ἐν τῇ καρδίᾳ αὐτοῦ ἐπιμελᾶς ἐπὶ τὰ πονηρὰ πάντα τὰς ἡμέρας, καὶ ἐνεθυμῆθη ὁ θεὸς ὅτι ἐποίησεν τὸν ἀνθρώπον ἐπὶ τῆς γῆς, καὶ διενοήθη*.

რამდენად ვიცი, შეგონება და განგონება ზმნებს ასეთი მნიშვნელობანი

სხვა შემთხვევებში არ გააჩნიათ და ამიტომაც ლექსიკონებში მათი ამგვარად გამოყენება არ ასახულა.

ზღუა სიტყვა **ზღვის** მნიშვნელობით იხმარება. ამგვარი გამოყენება ძალზე ხშირია და, ბუნებრივია, რომ ილ.აბულაძე ამ სიტყვის ამ მნიშვნელობას იმოწმებს (აბულაძე, 1973, გვ.171).

ბიბლიურ წიგნებში გვხვდება **ზღუა** სიტყვის სხვა მნიშვნელობაც. იგი **დასავლეთს** აღნიშნავს:

იხილე მაგიერ აღგილით, სადა-ეგე ხარ შენ აწ, ბლუარად კერძო და ჩრდილოდ, აღმოსავალად და **ზღუად**, შესაქმე 13, 14, შდრ.: ἰδὲ ἀπὸ τοῦ τόπου, οὐν τὸ εἶ, πρὸς βίρραν καὶ λιβὰ καὶ ἀνατολὰς καὶ θάλασσαν;

იყოს ნათესავი შენი, ვითარცა ქვშაჲ ზღუსაჲ და განვრცნეს **ზღუადმდე** და ჩრდილოდ და ბლუარად და აღმოსავალად, იქვე 28, 14, შდრ.: καὶ ἔσται τὸ σπέρμα σου ὅς ἡ ἀμμοὶς τῆς γῆς καὶ πλατυνθήσεται ἐπὶ θάλασσαν καὶ ἐπὶ λιβὰ καὶ ἐπὶ βίρραν καὶ ἐπ' ἀνατολὰς.

როგორც ვხედავთ, **ზღუა**-ს **დასავლეთის** მნიშვნელობით ხმარება ბერძნული ἢ θάλασσα-ს ამავე მნიშვნელობის ანარეკლს წარმოადგენს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ილ.აბულაძე, 1973 — ილ.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. კ.დანელია, 1983 — კ.დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
3. ს.ყაუხჩიშვილი, 1949 — ს.ყაუხჩიშვილი, ერთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, თბ., 1949.
4. G.Pätsch, Linguistische Bemerkungen zur Textgeschichte der Bibel; Bedi Kartlisa, XXI-XXII, Paris, 1977.
5. G.Pätsch, Griechisches Lenngut im Georgischen: Bedi Kartlisa, XXXV, Paris, 1977.

Zurab Sarjveladze

On the Contextual Meaning of Three Old Georgian Words

Summary

In Old Georgian the use of some words (ayesrula, šeezina, šesvla, šeigona, ganigona, zyuaj...) with extraordinary meaning has been conditioned by the influence of Greek.